ინეზა ზოიძე

ნატალია ლაზბა

თანამედროვე სოციალური პრობლემებისა და გლობალური პროცესების დესკრიფციული თავისებურებები

წინამდებარე სტატიის ამოცანას არ წარმოადგენს გლობალური პროცესების დადებითი ან უარყოფითი მხარეებისა და ცალკეული მიმართულებით მისი ეფექტების შეფასება. ჩვენი მიზანია წარმოვადგინოთ და შევაფასოთ გლობალური შეუქცევადი მოვლენები ცალკეული ქვეყნების მიმართ 2020 წლის პორველ ნახევარში მსოფლიოში მიმდინარე პანდემიის ფონზე. გავაანალიზოთ სოციალურ პრობლემებთან ჯანმრთელობის დაცვისა და საერთოდ სიცოცხლის რისკებთან, მის პრევენციასთან თუნდაც პანდემიური პროცესების შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების მართვასთან დაკავშირებით არსებული პრობლემები.

საკვანძო სიტყვები: გლობალიზცია, მიგრაცია, სოციალური პოლიტიკა, სოციალური უსაფრთხოება, ეკონომიკა, პანდემია.

ტერმინი გლობალიზაცია სოციალურ და პლიტიკურ მეცნიერებებში, მართალია, გვიან დამკვიდრდა (მეოცე საუკუნე), მაგრამ მსოფლიო მოქალაქეობისა და გლობალური მთავრობის იდეოლოგიის ფორმირება დაიწყო გაცილებით ადრე. ეს იდეოლოგიური ხაზი გამოცდილების ხანგრძლივ პერიოდს ითვლის და განსხვავებულად პასუხობდა თითოეული ეტაპის სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ღირებულებებს და მოთხოვნილებებს.

ჯერ კიდევ ძვ.წ. მეოთხე საუკუნეში ალექსანდრე მაკედონელი ცდილობდა როგორც პოლიტიკური, ასევე კულტურული და ეკონომიკური თვალსაზრისით გლობალური სამყაროს შექმნას. მიუხ-

ედავად იმისა, რომ მაკედონელი მაშინდელი მსოფლიოს დამპყრობლად ითვლებოდა, ის ცდილობდა გლობალური სამყაროს ჩამოყალიბებას თითოეული დაპყრობილი ხალხის კულტურისა და მიღწევების ინკორპორირების და არა განადგურებისა და წაშლის ხარჯზე. ეს კარგად ჩანს მისივე ცნობილ გამოთქმაში: ,,ჩემგან ომში დამარცხებული, ჩემს გამარჯვებას არ უნდა ნანობდეს".

მოგვიანებით, ამავე იდეოლოგიის დამკვიდრების მცდელობის უფრო მკაცრ ფორმას წარმოადგენდა რომის იმპერია. შუა საუკუნეებში ამავე იდეოლოგიას ნერგავდა კათოლიკური ეკლესიაც, ხოლო, განმანათლებლობის ეპოქაში მან მიიღო კლასიკური ხასიათი და როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში (იმანუელ კანტი), ასევე საზოგადებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში დაიწყო დამკვიდრება ,,კოსმოპლიტიზმის" სახელით, რომლის მთავარ ხაზს წარმოადგენდა ნაციონალური, ეროვნული ინტერესების უგულებელყოფის ხარჯზე მსოფლიო წესრიგის შექმნა.

მეოცე საუკუნის დასაწყისში, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, აქტუალობას იძენს ზესახელმწიფოებრივი სტრუქტურების ჩამოყალიბების იდეოლოგია, რომლებიც შეძლებდნენ საერთაშორისო არენაზე წესრიგის დამყარებას, ანუ აგრძელებდნენ ჯერ კიდევ მეთექვსმეტე საუკუნეში თ. ჰობსის მიერ განვითარებულ ,,სოციალური კონტრაქტის" თეორიის დებულებას. სწორედ, ამის საფუძველზე აშშ-ს პრეზიდენტი ვუდრო უილსონი მხარს უჭერდა მსოფლიო მთავრობის ჩამოყალიბების პირველ მცდელობას ,,ერთა ლიგის" სახით, რომლის ერთგვარ გაგრძელებად შეიქმნა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, რომელსაც თვლიდნენ, როგორც საერთო კანონმდებლობის მორჩილ სახელმწიფოთა გაერთიანებას და განსაზღვრავდა მსოფლიო პოლიტიკურ წესრიგს, იმ გამართლებით, რომ მხოლოდ ცალკეული ერების თვითშეკავება და შინაგანი კონტროლი შეიძლება საკმარისი არ იყოს მუდმივი მშვიდობის დასამყარებლად. პოლიტიკური არეულობებისა და წინააღმდეგობების აღმო-

საფხვრელად გვთავაზობენ ერების ერთმანეთზე ეკონომიკურ დამოკიდებულებას და მხარს უჭერენ სავაჭრო ბაზრის პოლიტიკას. რადგან საერთაშორისო კონფლიქტით გამოწვეული მატერიალური ხარჯები იმდენად დიდი იქნება, რომ პრაქტიკულად გამორიცხავს ომის საშიშროებას (ჰეივუდი, გვ.208-209).

აღნიშნული იდეოლოგიური ხაზის გაგრძელებად მეოცე საუკუნის 80-იანი წლებიდან იქცა ახალი სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური იდეოლოგია - ,,გლობალიზაცია", ტერმინი პირველად სამეცნიერო ლიტერატურაში 1983 წელს გამოიყენა ამერიკელმა მეცნიერმა ლევიმმა, რომელმაც ამ ტერმინით აღნიშნა ცალკეული ბაზრების შერწყმის ფენომენი. მეოცე საკუნის მიწურულს კი მისი კლასიკური გაგება ნიშნავდა ეროვნულ სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ჩარჩოების მოშლას. ე.ი. თავდაპირველად გლობალიზაცია მხოლოდ ეკონომიკური სფეროს გულისხმობდა, მოგვიანებით ეს იდეოლოგია აისახა საზოგადებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროზე (პოლიტიკური, სოციალური, კულტურული და ასე შემდეგ). შესაბამისად, ამ ტერმინმა შეიძინა მრავალმხრივი შინაარსობრივი გაგება და 21-ე საუკუნეში ის აღმოჩნდა უამრავი წინააღმდეგობის წინაშე. თუ კი თავდაპირველად მსოფლიო სახელმწიფოებმა აღნიშნულ პროცესებში ჩართულობა ერების ეკონომიკური უზრუნველყოფის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად მიიჩნიეს, სანაცვლოდ საზოგადოების კულტურული და სოციალური მიმართულებები აღმოჩნდა წინააღმდეგობის წინაშე. გარდა ამისა, შეიცვალა სახელმწიფოთაშორისი დამოკიდებულებები. თუ კი საწყის ეტაპზე საერთაშორისო პოლიტიკა და ურთიერთობები პასუხობდა ყოველმხრივ გამოწვევას სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში, ბოლო ეტაპზე ეს მიმართულება ჩაანაცვლა მსოფლიო პოლიტიკამ, რაც იმას ნიშნავს, რომ ეროვნული ეკონომიკა და კულტურული ღირებულებები გლობალურმა მიმარ-

თულებებმა შეცვალა პოლიტიკური ურთიერთობების სფეროში (დავითაშვილი, გვ.183).

ბოლო პერიოდში განვითარებულმა პროცესებმა აჩვენა, რომ მხოლოდ ეკონომიკური უსაფრთხოება არ წარმოადგენს საზოგადოების არსებობის, ცვალებადობისა და განვითარების ძირითად და გადამწყვეტ ფააქტორს და სოციალური უსაფრთხოებაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა, რასაც მიმდინარე გლობალურმა პროცრესებმა დადებითად ვერ უპასუხა.

მსოფლიო პანდემიის პირობებში მიმდინარე პროცესებმა ასევე აჩვენა, რომ გლობალურმა პოლიტიკამ ცალკეული ქვეყნებისათვის ეკონომიკურ გამოწვევებსაც ვერ უპასუხა. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური გლობალიზაციის ფუნდამენტურ ღირებულებას წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკური სისტემა და ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც კოსმოპოლიტიზმის უფრო ფართო პრინციპებისაკენ მიმავალ საფეხურს წარმოადგენდა, ის არამარტო ხელს შეუწყობდა ყოველ ქვეყანას ეწარმოებინა ის, რისი წარმოებაც ყველაზე უკეთ გამოსდიოდა (თეორია, რომელსაც ეკონომისტები ,,შედარებითი უპირატესობის" თეორიას უწოდებენ) და რაშიც მაქსიმალურ მოგებას პოულობდა, არამედ გააერთიანებდა ყველა რასის, მრწამსისა და ღირებულებას იმაში, რასაც გლობალისტები ე.წ. ,,მუდმივი კავშირის თეორიას უწოდებენ". თანამედროვე ეტაპზე კი არსებულმა გამოწვევებმა და პრაქტიკამ აჩვენა, რომ სოციალური უსაფრთხოების გარანტიას სრულად შეიძლება უპასუხოს არა მოგების ეკონომიკაზე, არამედ სოლიდარობის ეკონომიკაზე ორიენტირებამ, რაც იმას ნიშნავს, რომ ცალკეულმა სახელმწიფოებმა თუ სოციალურმა ჯგუფებმა უნდა აწარმოონ არა მხოლოდ ის, რაც მოგებაზეა ორიენტირებული, არამედ ის, რაც სჭირდებათ. მხოლოდ მოგებაზე ორიენტირებამ კი, ჩვენი აზრით, გამოიწვია მაქსიმალური დეინდივიდუალიზაცია, გაუცხოება ინდივიდებისა სოციალურ ჯგუფებს შორის და სოციალური

ჯაჭვის წყვეტა. რაც წინააღმდეგობაში მოდის სოციალური გლობალიზაციის მთავარ იდეოლოგიურ ხაზთან - ერთიანობასთან.

პოლიტიკურ თუ მეცნიერულ წრეებში დღემდე გლობალურ პრობლემად აღიქმედობა დარღვეული წონასწორობა ბუნებასა და საზოგადოებას შორის, მათ შორის, რათქმა უნდა, ჰაერის, მიწის, წყლის დაბინძურება, გარემოს ცვლილებიბი, რომლებსაც იწვევს ინდუსტრიის ხშირ შემთხვევაში გაუმართლებელი განლაგება და სხვა.

ასევე, არსებობს პრობლემები, რომლებიც გამოწვეულია ქვეყნების არათანაბარი განვითრებით, შემოსავლებისა და რესურსების არაზომიერი გადანაწილებით და განაწილებით, ქონების არამართლზომიერი ფლობით და სხვა, ანუ პრობლემები რომლებიც იწვევენ სიღარიბეს, სოციალურ უსამართლობას, სოციალურ ჯგუფებსა და ქვეყნებს შორის კონფლიქტებს, სხვადასხვა სახის დაპირისპირებებს, უფლებებში ჩარევებს, დამოუკიდებლობის პრონციპების ხელყოფას.

განვითარებული ქვეყნები, ე.წ. ზესახელმწიფოები სწორედ რომ დემოკრატიის და სოციალური დაუცველობის ხარისხს აკრიტიკებენ, უარეს შემთხვევაში ერევიან სუსტი ქვეყნების განვითრების კურსის რეგულირების საკითხებში და ყოველივეს აფასებენ გლობალური ხასითის ინდიკატორებით და შეზღუდული რესურსების მონოპოლიზაციისათვის ძალისხმევას არ იშურებდნენ.

ბევრი, მათ შოროს, განვითარებული ქვეყნების სახელმწიფოებრივი აზროვნება და ქმედება აღნიშნული მიმართულებით უკიდურესად შესუსტდა. მთავარი რესურსები მათ შორის ინტელექტუალური, მოხმარდა სამხედრო ძლიერებას, შესაბამისი ინდუსტრიის სხვებთან შედარებით უპირატეს განვითარებას. სამწუხაროდ, ამავე პროცესების უპირატესობის წახალისება ჰქონდა არაერთ განვითარებადი ეკომონიკის ქვეყნებსაც.

გლობალიზაციის სოციალური პრობლემისადმი არაეფექტურობის შემდგომ საკითხად მიგვაჩნია ის, რომ ეკომონომიკის გლობალიზაციას მოყვა სხვა სფეროების ამ პროცესებში ჩართვის შეუქცევადი ხასიათი, ისე რომ, ბევრი ქვეყნის შიდა თუ მოზიდული რესურსი უმეტესად გამოიყენებოდა გლობალური ეკომონიკის, გლობალური სამხედრო უსაფრთხოების, გლობალური ტერორიზმის, გლობალური კონფლიქტებისა თუ სხვა არაერთი მიმდინარე თუ მოსალოდნელი გლობალური პროცესების პრევენციის საწინააღმდეგოდ.

გლობალიზაციის აქტიური პროცესების საუკეთესო შედეგის მოლოდინით ბევრმა ქვეყანამ გააფართოვა აბსოლიტური უპირატესობის მქონე დარგების განვითარების მასშტაბები და შეამსუბუქა ყურადღება შეფარდებითი უპირატესობის მქონე დარგების შესაძლო განვითარებისათვის. შედეგად მივიღეთ ის, რომ სასურსათო უსაფრთხოების პრობლემების გადაწყვეტის ძირითადი ნაწილი დაექვემდებარა იმპორტის უპირატესობას. ასეთივე ბედი ეწია ზოგიერთ სხვა დარგებსაც.

დღეისათვის მსოფლიო ეკონომიკის ვარდნის ფონზე გაჩნდა მოლოდინი იმისა, რომ შესაძლოა ბევრმა ქვეყანამ შესაბამისად შეცვალოს კავშირურთიერთობები. კერძოდ, ან საერთოდ უარი თქვას, ან შეზღუდოს იმპორტი, რაც გამოიწვევს გარკვეული დასახელების პროდუქტებზე ზოგიერთი ქვეყნებისათვის დეფიციტს. ეს კი სტიმულს მისცემს შიდა რეზერვებისა და ძალების ამოქმედებას და ხელს შეუწყობს ეროვნული, ნაციონალური ეკონომიკის აღორძინებას. ყოველივე ეს, ერთი შეხედვით, წინააღმდეგობაში მოდის გლობალიზაციასთან, თუმცა ვფიქრობთ, რომ გლობალური მიდგომა ამ საკითხებისადმი იქნება დადებითი, რამდენადაც გლობალიზაციის პროცესები გაგრძელდება ახალი მიდგომებითა და არსებულ გამოწვევებთან თავსებადობის პრინციპით. ანუ არსებული გამოწვევები გზას მისცემს გლობალიზაციის პროცესებიის განსხვავებული ფორ-

მით გამოვლენას, რაც კიდევ ერთ ახალ ეტაპს შექმნის მისი არსებობის ისტორიაში.

ჩვენი აზრით ასეთმა მიდგომებმა გამოიწვია ის, რომ სოციალური სფეროს ხერხემალი ჯანმრთელობის დაცვისა და საჭირო ინფრასტრუქტურის შესაბამისი მიმართულებების თითქმის 80-85%-ზე მეტი გახდა ცალკეული ბიზნესების ზეგავლენის ობიექტი.

ამ სფეროს ტექნოლგიური პროგრესის მიუხედავად, მისი მაშტაბები არ იყო გათვლილი მოსახლეობის ფართო ფენებზე და ის შემოიფარგლებოდა მხოლოდ უკუგებადი ე.წ. ამოღებადი ფენების მასშტაბით. სწორედ ამიტომ პანდემიის პირველივე დღეებიდან თითქმის ყველა ქვეყანაში გაჩნდა შესაბამისი სამედიცინო აღჭურვილობის, მედპერსონალის, ტრანსპორტის და სხვა მიმართულებების კრიტიკული უკმარისობის პრობლემა. არც ბევრი ქვეყნის მოსახლეობის სამედიცინო კულტურა და მომზადება აღმოჩნდა საკმარისი სპეციალისტთა რეკომენდაციების შესრულების მიმართ.

აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ გლობალური პროცესების სამიზნე პრობლემების მიღმა დარჩა არაერთი სოციალური პრობლემის მართვისა და პრევენციის რესურსული უზრუნველყოფის საკითხი.

გლობალოზაციის ერთ-ერთი ეფექტური პროცესია მცირე ეკონომიკის ქვეყნების მოსახლეობის სოციალური საკითხების რეგულირებაში მიგრაციული საკითხების ეტაპობრივი გამარტივება და მასშტაბების გაზრდა, ადამიანებს შესაძლებლობა მიეცათ ისწავლონ, იმუშაონ, იცხოვრონ მათთვის სასურველ და მიმზიდველ ქვეყნებში. მეორე მხრივ, ე.წ. მიმღები ქვეყნები და იქ მოქმედი ბიზნესები ანუ დამსაქმებლები ცდილობენ საქმე იქონიონ იაფ, ამავე დროს სანდო კვალიფიციურ სამუშაო ძალასთან.

სამშობლოდან ძირთადად სხვა ქვეყანაში შრომით ბაზარს ეძიებიან იმ სფეროებში, ქვეყნებში სადაც სათანადოდ ნაზღაურდება ის უნარები, რომლებიც შრომის მაძიებელს გააჩნია და ის სათანა-

დოდ ვერ ნაზღაურდება ან საერთოდ ვერ პოულობს დასაქმების შესაძლებლობას წარმოშობის ქვეყანაში. უნარიანთა მეორე კატეგორია, ახალგაზრდობის ის ნაწილი, რომლებსაც არ აკმაყოფილებს წარმოშობის ქვეყანაში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების რეალიზაციიის დონე და აქვთ სურვილი უფრო მაღალი კვალიფიციური განათლება მიიღონ სხვა ქვეყნებში. მესამე კატეგრიაში შეგვიძლია გვაერთიანოთ ის სპეციალისტები, რომლებსაც სურთ აითვისონ უცხოური ტექნოლოგიების მართვა და მიიღონ შესაბამისი გამოცდილება.

უნარიანი, სასწავლებლად ან კვალიფიკაციის ასამაღლებლად ქვეყნიდან გასული რესურსი მიმღებ ქვეყანაში ყოვნდება კანონმდებლობის შესაბამისად და ეს შეიძლება წლებს ითვლიდეს ან მიმზიდველი ხდება იქ დარჩენა. სწორედ ამიტომ ამ პროცესს ხშირად „ტვინების გადინებას“ უწოდებენ და მიუხედავად არაერთი სოციალური პრობლემის გადაჭრისა ინდივიდუალურ თუ ოჯახის დონეზე, ის არ შეიძლება წარმოშობის ქვეყნისთვის მიჩნეულ იქნეს საუკეთესო ვარიანტად.

აქ რათქმაუნდა ჩვენ არ მოვიაზრებთ ე.წ. ქანქარისებულ მიგრაციას, როცა ადამიანები ერთი ქვეყნიდან მეორეში სამუშაოდ, გასართობად, ვიზიტორად, სავაჭროდ ან სხვა საჭიროებისთვის ყოველდღიურად მოძრაობენ.

იმის გათვალიწინებით, რომ მიგრაცია, განსაკუთრებით გლობალიზაციის ეპოქაში კონკრეტულ პიროვნებათა მოქმედებათა სფეროებია მიმღები ქვეყნების მიგრაციული პოლიტიკის ჩარჩოებში, ის მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ქვეყნების დემოგრაფიულ პოლიტიკაზე.[1]

[1] საქართველოდან მიგრაციის პროცესების შესახებ იხ.: მაცაბერიძე მალხაზ. საქართველო: ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის ორი წელი - პრობლემები და გამოწვევები - „პოლიტიკა“, 2019, ტ. 3., N 3, გვ.39-49; ორჯონიკიძე თამარ. დიასპორებთან დაკავშირებული საკითხები

სამწუხაროდ, განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებისათვის არსებობს მიგრაციის ისეთი არასასურველი უფრო წამგებიანი ფორმაც, როცა მნიშვნელოვანი კაპიტალის მქონე ფიზიკური თუ იურიდიული სუბიექტი სხვადასხვა მიზეზით საქმიანობის გაგრძელებას გადაწყვეტს სხვა ქვეყანაში. ხშირად მის მიერ ქვეყნიდან გატანილი კაპიტალის ეფექტი მნიშვნელოვნად აღემატება სხვა ფორმით მიგრანტებისგან ქვეყანაში შემოტანილი სახსრების ეკონომიკურ ეფექტს. ამ პროცესს არაოფიციალურად „ ოქროს კბილების“ გადინებას უწოდენენ და მისი ძირითადი საფუძვლები პოლიტიკურ ან კრიმინალურ მოტივებში უნდა მოიძებნოს.

გარდა ამისა მიგრაციასთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესების კვალდაკვალ სოციალური თვალსაზრისით გამოვლინდა სხვა თავისებურებებიც. კერძოდ, ადამიანის სოციალური ბუნება, რაზეც გავლენას ნაკლებად ახდენს პოლიტიკურ-ეკონომიკური სიტუაციის ცვალებადობა, მიდრეკილია სოციალური უსაფრთხოებისაკენ, ანუ იმ გარემოსაკენ, სადაც ის სოციალურად დაცულად გრძნობს თავს. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ 2020 წლის პირველ კვარტალში მსოფლიო პანდემიისაგან გამოწვეული საფრთხის გამო საქართველოში მიგრანტთა უკუმიგრაციის შეუქცევადი პროცესები. ეკონომიკიური პოლიტიკის კვლევის ცენტრის (EPRC.GE) მონაცემებით, ამ პერიოდში უცხოეთიდან შემოსული გზავნილები შემცირდა 43,2%-მდე, ანუ $58 მლნ-ით ნაკლებია 2019 ანალოგიურ მაჩვენებელზე. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით 2020 წლის მიმდინარე პერიოდში საქართველოში დაბრუნდა 12 ათასზე მეტი საქართველოს მოქალაქე, მათ შორის 682 სტუდენტი (https://mfa.gov.ge/News/19-maisis-monacemebit-adgilze-dakhmareba-gaecia-uc.aspx?CatID=) ნიშანდობლივია, რომ საქართველოში მიგ-

ქართული პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამებში საქართველოს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს დროს - „პოლიტიკა“, 2017, N 2, გვ.23-48

რანტთა ადრეული ნაკადებისაგან განსხვავებით, რომლებიც იძულებით გადაადგილდებოდნენ და ქვეყანას ძირითადად სამუდამოდ ტოვებდნენ, ბოლო პერიოდში შეიცვალა მიგრანტთა კატეგორია და ქვეყნის ფარგლებს გარეთ მიგრაციაში ძირითადად იმყოფებოდა მოსახლეობის ის შრომისუნარიანი ნაწილი, რომლებიც მიმღებ ქვეყნებში ეკონომიკური უსაფრთხოების გარანტიას ხედავდნენ და უცხოეთში დროებით სამუშაოდ მიდიოდნენ. ეკონომიკური სიდუხჭირის პირობებში დროებითი შრომითი მიგრაცია საქართველოში ხშირ შემთხვევაში ,,გადარჩენის სტრატეგიად" იქცა (მიგრაციის სახემლძღვანელო, გვ.115). მიუხედავად იმისა, რომ წარმოშობის ქვეყანაში მათი ეკონომიკური პერსპექტივების თვალსაზრისით არ შეცვლილა მდგომარეობა, სოციალური უსაფრთხოების თვალსაზრისით უალტერნატივოდ ჩათვალეს მათ ქვეყანაში დაბრუნება. ე.ი. შეიძლება ითქვას, რომ მიმდინარე გლობალურმა პროცესებმა ცხადყო ის გარემოება, რომ სოციალური უსაფრთხოების თვალსაზრისით გლობალურ პირობებში მიგრაციულმა პროცესებმა ვერ უპასუხა თანამედროვე მუდმივად გამწვავებად პრობლემებს.

დასკვნა

ამრიგად, საკითხის შესწავლისა და თანამედროვე ეტაპის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების გაანალიზების შედეგად ჩამოვაყალიბეთ პრობლემის რამოდენიმე მიმართულება:

1. გლობალიზაცია წარმოადგენს მსოფლიო მასშტაბის სოციალურ-პოლიტიკურ, კულტურულ და ეკონომიკურ პროცესებს, რომელიც განსაკუთრებით მასშტაბური გახდა მეოცე საუკუნის მიწურულს და მოიცვა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო.

2. უშუალოდ გლობალიზაციამ თავისი შინაარსობრივი გაგებით განვითარების საკმაოდ გრძელი გზა განვლო. მიუხედავად მი-

სი მასშტაბურობისა და შეუქცევადობისა, მრავალმხრივი წინააღმ-დეგობების შემცველ პროცესად აღიქმება თანამედროვე ეტაპზე. 2020 წლის პირველ ნახევარში კი, მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმა, რაც პანდემიის პროცესს უკავშირდება, გამოავლინა არაერთმნიშვნელოვანი ეფექტები, განსაკუთრებით სოციალური უსაფრთხოების კუთხით. თუ კი გლობალიზაციის შეუქცევადობა და მასში ჩართულობის მნიშვნელობა განისაზღვრებოდა ეკონომი-კური უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ეროვნული, ნაციონ-ალური კულტურების პოპულარიზაციის აუცილებლობით (ზოიძე ი.,71-74) სოციალური უსაფრთხოების თვალსაზრისით კი ჩვენი შე-ხედულებით წარმოიქმნა რიგი წინააღმდეგობები. თუმცა, თანამედ-როვე გადასახედიდან შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ეკონომიკუ-რი გლობალიზაციის ხარისხს მოყვა საზოგადებრივი ცხოვრების სხვა სფეროების (სოციალური, პოლიტიკური, კულტურული) გლო-ბალიზაციის პროცესში ჩართვის შეუქცევადი ხასიათი, ისე, რომ ბევრი ქვეყნის შიდა თუ მოზიდული რესურსი გამოიყენებოდა გლობალური მიმართულების ტენდენციებში. სოციალური უსაფრ-თხოებისათვის მნიშვნელოვანი სფეროები კი იქცა მხოლოდ ბიზნე-სის გავლენის ობიექტად და გლობალური პროცესების სამიზნე პრობლემის მიღმა დარჩა ბევრი ისეთი მიმართულება, რომლებიც სოციალური უსაფრთხოების მთავარ წყარს წარმოდგენს.

3. გლობალური პროცესების შედეგად მიგრაციის საკითხების გამარტივებამ ხელი შეუწყო ინტელექტუალური რესურსისა და შრომისუნარიანი მოსახლეობის გადინებას, რაც უარყოფითად აისა-ხა საზოგადების სოციალ-ეკონომიკურ განვითარებაზე, დემოგრა-ფიულ პოლიტიკაზე. განსაკუთრებით კი ეს პროცესები შესამჩნევი აღმოჩნდა ისეთი პატარა ერებისათვის, როგორიც საქართველოა.

4. გლობალიზაციის აქტიური პროცესების პირობებში ბევრი ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება ძირითადად იმპორტზე იყო ორ-იენტირებული, რამდენადაც მათ ყურადღება გადატანილი ქონდათ

აბსოლუტური უპირატესობის მქონე დარგების განვითარებზე და შესაბამისად, შესუსტებული იყო შეფარდებითი უპირატესობის მქონე დარგების განვითარება. უკანასკნელ პერიოდში კი პანდემიის შედეგად შეცვლილი მიდგომების გამო გაჩნდა მოლოდინი იმისა, რომ ბევრმა, უპირატესად კი წამყვანმა ქვეყნებმა შესაძლოა შეცვალონ კავშირ-ურთიერთობების სტრატეგია და შეზღუდონ იმპორტი, რაც გამოიწვევს გარკვეული დასახელების პროდუქტებზე ზოგიერთი ქვეყნებისათვის დეფიციტს. მეორე მხრივ კი, ეს სტიმულს მისცემს ეროვნული, ნაციონალური ეკონომიკის აღორძინებას.

5. პერსპექტივაში ჩვენ ვფიქრობთ, რომ გლობალური პროცესები არათუ წინააღმდეგობაში მოვა მოცემულობასთან, არამედ არსებული გამოწვევები განაპირობებს გლობალიზაციის ახალი, განსხვავებული ფორმებით გამოვლენას, რამდენადაც მსოფლიო პანდემიის შედეგდ არსებულმა გამოწვევებმა მოახდინა შეხედულებების, ღირებულებებისა და არსებული პრაქტიკის გადაფასება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, რაც ვფიქრობთ შექმნის მეცნიერების, პოლიტიკური და ეკონომიკური აზროვნების სრულიად ახალ მიმართულებების საფუძველს და დამკვიდრდება ისეთი ცნებები როგორიცაა ,,კოვიდეკონომიკური“, ,,კოვიდსოციალური“ და ასე შემდეგ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დავითაშვილი ზ., ნაციონალიზმი და გლობალიზაცია, თბ.,2003

2.ზოიძე ი., კულტურათაშორისი დამოკიდებულებები გლობალიზაციის პროცესში, კრებ. ,,გლობალიზაცია, საერთაშორისო-ბიზნესის გამოწვევები და თაბამედროვე ტენდენციები", თბ.,2012, გვ.271-274

3. მაცაბერიძე მალხაზ. საქართველო: ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის ორი წელი - პრობლემები და გამოწვევები - „პოლიტიკა", 2019, ტ. 3., N 3, გვ.39-49;

4. მიგრაციის სახელმძღვანელო,პირველი გამოცემა,თბ., 2017

5. ორჯონიკიძე თამარ. დიასპორებთან დაკავშირებული საკითხები ქართული პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამებში საქართველოს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს დროს - „პოლიტიკა", 2017, N 2, გვ.23-48

6. *ჰეივუდი ენდრიუ, პოლიტიკური იდეოლოგიები, მესამე გამოცემა,თბ., 2004*

7.საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, https://www.geostat.ge/ka (ნანახია:19.05.2020)

8. ეკონომიკირი პლიტიკის კვლევის ცენტრი http://eprc.ge/index.php?m=2 (ნანახია.05.2020)

9.საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაცემები (https://mfa.gov.ge/News/19-maisis-monacemebit-adgilze-dakhmareba-gaecia-uc.aspx?CatID=)(ნანახია.05.2020)

10. Orjonikidze Tamar. Georgian Diaspora and Current Diaspora Policy in Georgia - Eastern Europe-Regional Studies, 2018 number 5

Ineza Zoidze
Natalia Lazba

Descriptive features of modern social problems and global processes

Annotation

The article discusses some of the issues related to the socio-political and economic processes in the context of global processes and globalization at the modern stage. In particular, the analysis presents several directions of the problem:

Globalization itself has gone a long way in terms of its content. Despite its scale and irreversibility, it is perceived as a multi-faceted process at the present stage. In the first half of 2020, developments in the world related to the pandemic process have revealed significant effects, especially in terms of social security. The irreversibility of globalization and the importance of its involvement were determined by the need to ensure economic security and the promotion of national cultures. In terms of social security, in our view, a number of contradictions have arisen. However, from a modern point of view, it can be said that in the long run, the global approach to these issues will be positive, as the processes of globalization will continue with new approaches and the principle of compatibility with existing challenges. The existing challenges will pave the way for the different manifestations of globalization processes, which will create another new stage in the history of its existence.

Key words: Globalization, migration, social policy, social security, economy, pandemic